საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/99

14 აგვისტო, 2020 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წელისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე **დანართი №1**-ის შესაბამისად.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს მაგისტრატურაში მიმღებ კომისიაში, 2020 წლის 31 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, 1-ლი კორპუსი, ოთახი №19.
3. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება **(დანართი № 2)**

ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) ერთიან სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიმღები კონკურსანტის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული, ხოლო 2020 წელს კურსდამთავრებულთათვის -ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე), უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა.

4. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს ბსუ-ს პირველ კორპუსში (მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, შემდეგი განრიგით:

4.1. **მისაღები გამოცდა უცხო ენაში** - 2020 წლის 10 სექტემბერი (დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი; III ცვლა- 17^{00} საათი);

4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2020 წლის 11 სექტემბერი;
4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2020 წლის 14 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს კანცელარიაში.
4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხი მომზადდეს 2020 წლის 15 სექტემბერს და ეცნობოს კანდიდატს (კანდიდატის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე)..
4.2. **მისაღები გამოცდა სპეციალობაში** - 2020 წლის 17 სექტემბერი (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი; III ცვლა- 17^{00} საათი):
4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2020 წლის 18 სექტემბერი;
4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2020 წლის 21 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს კანცელარიაში.
4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხი მომზადდეს 2020 წლის 22 სექტემბერს და ეცნობოს კანდიდატს (კანდიდატის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე)..
5 გამოცდების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2020 წლის 23 სექტემბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
6. გამოცდებზე დასასწრებად კანდიდატმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება).
7. შეიქმნას მაგისტრატურაში მიმღები კომისია **№3 დანართის** შესაბამისად.
8. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2020 წლის 24, 25 სექტემბერს, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, 1-ლი კორპუსი, ოთახი №19.
9. ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2020 წლის 28 სექტემბერს, ფაკულტეტების დეკანების მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე.
10. დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული თემატიკა განათავსონ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, არაუგვიანეს 2020 წლის 21 აგვისტოსა.
11. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
12. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განაცხადი განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
13. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*

დანართი 1

								უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება		
სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება/მიმართულებები	მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებულია თუ არა	დაფინანსება	სწავლების ენა	წლიური გადასახადი	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა	სულ	გამოცდა სპეციალობაში	გამოცდა უცხო ენაში
ლინგვისტიკა	ჰუმანიტარული	ფილოლოგიის მაგისტრი ლინგვისტიკაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	10	100	65	35
ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა	ჰუმანიტარული	ფილოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
ევროპეისტიკა	ჰუმანიტარული	ინგლისური/ ფრანგული/გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	15	100	65	35
ისტორია	ჰუმანიტარული	ისტორიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია	ჰუმანიტარული	არქეოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	3	100	65	35
განათლების ადმინისტრირება	ბიზნესი და ეკონომიკა	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	10	100	65	35
მათემატიკა	ფიზიკა, მათემატიკა	მათემატიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
ბიზნეს ინფორმატიკა	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	ბიოლოგიის მაგისტრი გენეტიკაში/ბიომრავალფეროვნებაში/ჰიდრობიოლოგიაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	10	100	65	35
ქიმია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	ქიმიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	ფიზიკური გეოგრაფიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
სამართალი	სამართალი	სამართლის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2750ლარი	30	100	65	35

ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესი და ეკონომიკა	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2750 ლარი	30	100	65	35
ეკონომიკა	ბიზნესი და ეკონომიკა	ეკონომიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	20	100	65	35
ფინანსები და საბანკო საქმე	ბიზნესი და ეკონომიკა	ფინანსების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2750 ლარი	30	100	65	35
კლინიკური ფსიქოლოგია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	15	100	65	35
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	ბიზნესი და ეკონომიკა	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2500 ლარი	20	100	65	35
სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა)	ინჟინერიის მაგისტრი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	20	100	65	35
ტელეკომუნიკაცია	საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა)	ინჟინერიის მაგისტრი ტელეკომუნიკაციაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35
ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა)	ინჟინერიის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მ ოპოვების,ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკასა და ტექნოლოგიებში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250 ლარი	5	100	65	35

№2 დანართი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს,

მოქალაქე ----------
(სახელი, გვარი)

ფაქტიური მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი: ----------

პირადი ნომერი: ----------

ტელ: ---------- (ბინა, მობილური)

ელ. ფოსტა: ----------

განცხადება

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ----------
ფაკულტეტის ----------
საგანმანათლებლო პროგრამაზე.
უცხო ენის მისაღებ გამოცდაზე ჩავაბარებ ---------- ენას.
(მიუთითეთ უცხო ენა)

დამატებით გაცნობებთ, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული მაქვს ----------ტიპის ტესტი.

დანართი - ------- ფურცელი.

განმცხადებელი:

------- ----------, 2020 წელი.

№3 დანართი.

მაგისტრატურაში მიმღები კომისია

1. ქერქაძე ირმა - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარე);
2. გამყრელიძე ხათუნა-სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი-წევრი;
3. თურმანიძე მაია-სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი-წევრი;
4. ჭიჭვეიშვილი თინათინ-სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი-წევრი;
5. დიასამიძე გვანცა--დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი-წევრი;